

ფინანსური ანგარიშგება

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის

დასრულებული წლისთვის

შპს „ჯი-თი-ვი“ (ს.ნ. 206050066)

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიში	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და საადრიცხვო პოლიტიკა	6
3. ამონაგები	9
4. სხვა შემოსავალი	10
5. ფინანსური დანახარჯები	10
6. მოგება დაბეგვრამდე	10
7. მოგების გადასახადის ხარჯი	11
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	11
10. ძირითადი საშუალებები	12
11. არამატერიალური აქტივები:	13
12. სავაჭრო ვალდებულებები	13
13. საგადასახადო ვალდებულებები	13
14. ბანკის ოვერდრაფტი და სესხი	13
15. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელო	14
16. ფინანსური იჯარის ვალდებულება	14
17. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები	14
18. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	14
19. გადავადებული გადასახადი	15
20. საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები	15
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15
22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	15

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
(საანგარიშგებო ვალუტა ლარი)

	შენიშვნა	31/12/2022	31/12/2021
აქტივები			
ფული და ფულადი ეკვივალენტები	18	114,396	125,926
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	492,690	584,193
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9	1,009,058	1,015,229
წინასწარ გადახდილი ხარჯები		15,679	8,073
ჯამურად მიმდინარე აქტივები		1,631,823	1,733,421
ძირითადი საშუალებები	10	12,183	9,708
არამატერიალური აქტივები	11	2,538	3,087
ჯამურად გრძელვადიანი აქტივები		14,721	12,795
სულ აქტივები		1,646,544	1,746,216
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	12	8,414	248,988
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	13	12,439	11,753
ბანკის სესხი	14	54,611	140,069
სულ ვალდებულებები		75,464	400,810
კაპიტალი			
კაპიტალი			
რეზერვები და დაფინანსება			
გაუნაწილებელი მოგება		1,571,080	1,345,406
სულ კაპიტალი		1,571,080	1,345,406
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,646,544	1,746,216

შპს "ჯი-თი-ვი"-ს დირექტორი

/ა. ამბარცუმოვი/

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
(საანგარიშგებო ვალუტა ლარი)

	შენიშვნა	12 თვე, 2022წ.	12 თვე, 2021წ.
ამონაგები	3	3,376,061	2,996,401
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(2,752,322)	(2,455,487)
საერთო მოგება		623,739	540,914
სხვა საოპერაციო შემოსავალი	4	15,458	8,531
საპროცენტო შემოსავალი		151	136
დასაქმებულთა ანაზღაურება	15	(188,322)	(174,474)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(1,777)	(2,345)
საპროცენტო ხარჯი	5	(7,895)	(12,067)
იჯარის ხარჯი	17	(60,354)	(62,108)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(80,395)	(79,486)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		12,119	58
მოგება დაბეგვრამდე	6	312,724	219,159
მოგების გადასახადის ხარჯი	7		
მიმდინარე წლის მოგება		312,724	219,159
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		1,345,406	1,211,247
დივიდენდი		(87,050)	(85,000)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		1,571,080	1,345,406

შპს "ჯი-თი-ვი"-ს დირექტორი

/ა. ამბარცუმოვი/

ფულადი ნაკადების ანგარიში

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
(საანგარიშგებო ვალუტა ლარი)

	2022 წ.	2021 წ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	179,292	21,178
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,702)	(608)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(170,367)	(62,029)
ფულისა და ეკვივალენტების ნეტო ცვლილება	5,223	(41,459)
სავალუტო კურსის ეფექტი	(16,753)	(7,903)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	125,926	175,288
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	114,396	125,926

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15,285	1,211,247	1,226,532
2021 წლის მოგება/ზარალი		219,159	
კაპიტალის ზრდა/ (კლება)	(15,285)		
გაცემული დივიდენდი		(85,000)	
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		1,345,406	1,345,406
2022 წლის მოგება/ზარალი		312,724	
კაპიტალის ზრდა/ (კლება)			
გაცემული დივიდენდი		(87,050)	
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		1,571,080	1,571,080

შპს "ჯი-თი-ვი"-ს დირექტორი

/ა. ამბარცუმოვი/

1. ზოგადი ინფორმაცია

„ჯი-თი-ვი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ვაჟისუბანი IV მ-ნი, II კვ, კ.10 ბ.72, ხოლო სავაჭრო ობიექტები განთავსებულია შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთი, ცაბაძის ქ. 8ბ, მალ ბ-61, ბ-62 და ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალო, კეკელიძის 1. მისი ძირითადი საქმიანობა - საბითუმო და საცალო ვაჭრობა პირველადი ელემენტებით კომპიუტერული და სხვა აქსესუარებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის მეხუთე წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარში). კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საგადასახადო კანონმდებლობით რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი

სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის 31 დეკემბრის არსებული კურსით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღიარდება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
ოფისის აღწურვილობა	5-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალება	10 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის

სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ათ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. თვითღირებულება გაიანგარიშება “პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში” (“ფიფო”) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. უცხოურ ვალუტაში მომწოდებლებზე გადახდილი თანხები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2021, 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადაანგარიშებისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3,0976	3,504
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2,702	2,8844

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

ბანკის სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება საბანკო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სასესხო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურება მოიცავს გაცემულ ხელფასებს და სხვა დამატებით გასამრჯელოებს.

3. ამონაგები

	2022 წ	2021 წ
საქონლის გაყიდვა	3,376,061	2,996,401
სულ	3,376,061	2,996,401

4. სხვა შემოსავალი

	2022 წ	2021 წ
მომწოდებლების კომპენსაცია	15,458	5,156
საგადასახადო შეღავათი საშემოსავლო გადასახადზე		3,375
	15,458	8,531

5. ფინანსური დანახარჯები

	2022 წ	2021 წ
ბანკის სესხის პროცენტი	7,895	12,067
სულ	7,895	12,067

6. მოგება დაბეგვრამდე

შემდეგი მუხლები აღიარებული იქნა ხარჯად დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას:

	2022 წ	2021 წ
ხარჯად აღიარებული სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება	2,752,322	2,455,487
დასაქმებულთა ანაზღაურება	188,322	174,474
საპენსიო შენატანი	3,779	3,555
იჯარა	60,354	62,108
ცვეთა და ამორტიზაცია	1,777	2,345
კომუნალური ხარჯი	4,290	2,022
კომუნიკაციის ხარჯი	2,627	2,236
დაზღვევა	2,283	2,511
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	67,416	69,162
საპროცენტო ხარჯი	7,895	12,067
საკურსო სხვაობის შედეგად მიღებული ზარალი	0	0
სულ	3,091,065	2,785,967

7. მოგების გადასახადის ხარჯი

2022 წელს მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაცია განხორციელდა, კერძოდ გაიცა დივიდენდი 87 050 ლარის ოდენობით, რაზეც დარიცხულმა მოგების გადასახადმა შეადგინა 15 361.76 ლარი, აღნიშნული თანხის გადახდის ვალდებულება არ წარმოიშვა ვინაიდან განხორციელდა ჩათვლა სსკ-ის თანახმად.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022 წ	2021 წ
მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან	407,964	399,653
წინასწარ გადახდილი გადასახადი	4,154	
წინასწარი გადახდები	80,572	184,540
	492,690	584,193

9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2022 წ	2021 წ
საქონელი	1,007,605	1,014,084
სხვა მარაგი	1,453	1,145
სულ	1,009,058	1,015,229

10. ძირითადი საშუალებები

თვეთლირებულება	მანქანადანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	ჯამურად
01.01.2022	-	18,809	23,739	8,507	51,055
შემოსვლა		436	3,296		3,732
გასვლა		-898			-898
31.12.2022	-	18,347	27,035	8,507	53,889
დაგროვილი ცვეთა და გადაფასება					
01.01.2022	-	14,362	20,478	6,507	41,347
წლიური ცვეთა		805	422	0	1,227
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა		-868			-868
31.12.2022	-	14,299	20,900	6,507	41,706
საბალანსო ღირებულება					
31.12.2022	-	4,048	6,135	2,000	12,183

11. არამატერიალური აქტივები:**თვეთიღირებულება**

01.01.2022

შემოსვლა

გასვლა

31.12.2022

დაგროვილი ცვეთა

01.01.2022

წლიური ცვეთა

გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა

31.12.2022

საბალანსო ღირებულება

31.12.2022

პროგრამული
უზრუნველყოფა

ჯამურად

5,550

5,550

5,550

5,550

2,463

2,463

549

549

3,012

3,012

2,538

2,538

12. სავაჭრო ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს 8,414 ლარს, რომელიც გამოსახულია ეროვნულ ვალუტაში.

სავაჭრო ვალდებულებები

2022 წ

2021 წ

8,414

248,988

8,414**248,988****13. საგადასახადო ვალდებულებები**

2022 წლის 31 დეკემბრისთვის საგადასახადო ვალდებულებას წარმოადგენს გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც ხდება არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

14. ბანკის ოვერდრაფტი და სესხი**ბანკის სესხი, სრულად დაფარვის ვადაა 2023 წელი**

2022 წ

2021 წ

54,611

140,069

54,611**140,069**

კომპანიას სასესხო ვალდებულება შედგება ორი ხაზისაგან და მიზნობრიობად განსაზღვრულია ხარჯის ფინანსირება.

15. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელო

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ვალდებულება

	2022	2021
ვალდებულება წლის დასაწყისში	(3,061)	0
დარიცხვა წლის განმავლობაში	188,322	174,474
გადახდა წლის განმავლობაში	198,432	177,535
ვალდებულება წლის ბოლოს	(13,171)	(3,061)

16. ფინანსური იჯარის ვალდებულება

კომპანიას არ ერიცხება ფინანსური იჯარა.

17. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ორი სარეალიზაციო ოფისი და სასაწყობო ფართი.

	2022	2021
ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული გადასახდელი რომელიც მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად	60,354	62,108

18. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2022	2021
ფულადი სახსრები სალაროში	14,809	16,057
ფულადი სახსრები ბანკში	99,587	109,869
სულ	<u>114,396</u>	<u>125,926</u>

19 გადავადებული გადასახადი

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში გადავადებული გადასახადი არ ერიცხება.

20. საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები

2022 წლის განმავლობაში საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები არ დაფიქსირდა.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფვრას. იგი აგრძელებს მუშაობას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 24 აგვისტოს.

შპს "ჯი-თი-ვი"-ს დირექტორი

/ა. ამბარცუმოვი/